

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 13 ივლისის
დადგენილება №510

დოქტორის აკადემიური ხარისხის
მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს
დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეიცვალოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-5 მუხლის მე-15 პუნქტი ჩაითვალოს გაუქმებულად, მე-5 მუხლის მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-14, პუნქტები, მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი, მე-7 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტები, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი, დაემატოს მე-5 მუხლის 27-ე პუნქტი და ისინი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

”5.2.ფაკულტეტის თითოეულ პროფესორს (მათ შორის მოწვეულ პროფესორს), აგრეთვე სტუ-სთან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების წამყვან მეცნიერთანამშრომლებს (მოწვეული სპეციალისტების რანგში), შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, უფლება აქვთ დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოში წარადგინონ ერთი ან რამდენიმე სადისერტაციო თემის დასახელება და შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უნდა მოკლედ იყოს ასახული თემის აქტუალურობა, მიზნები და ამოცანები, აგრეთვე ინფორმაცია თემის შესრულების სამეცნიერო, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას თან უნდა ერთვოდეს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულების შესაბამისი

სპეცურსების სილაბუსები, რომლებშიც უნდა იყოს მითითებული მათი ჩატარების ვადები”;

”5.3. სადოქტორო პროგრამაზე შეიძლება იყოს იმდენი დოქტორანტი, რამდენსაც მიზანშეწონილად ჩათვლის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი”;

”5.5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ, როგორც წესი, ერთი სადისერტაციო თემის წარმოდგენის და, შესაბამისად, მოცემულ სასწავლო წელს დოქტორანტის აყვანის ნება შეიძლება დართოს ასოცირებულ პროფესორს”;

”5.6. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ შეიძლება ერთ სადისერტაციო თემაზე დაამტკიცოს ორი სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს მე-14 მუხლის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულება”;

”5.14. რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველის სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო და სადოქტორო პროგრამები, უნდა მიეკუთვნებოდეს მეცნიერების ერთ დარგს; შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია”;

„5.27. სწავლების პირველი წლის პირველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო განიხილავს და რეკომენდაციას იძლევა დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემების დამტკიცების თაობაზე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სწავლების დეპარტამენტი ადგენს ბრძანების პროექტს დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ“;

”6.10. დოქტორანტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას დეკანატი აცნობებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციას დოქტორანტის მიერ სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ”;

”7.1. დოქტორანტურაში სწავლების მეორე წლიდან დოქტორანტი ამზადებს ორ თემატურ მოხსენებას და წარადგენს სემინარზე. დოქტორანტის შეფასებას ახდენს 5-9 წევრისაგან შემდგარი კომისია. მასში შეიძლება შევიდნენ ფაკულტეტის შესაბამისი

დარგის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორები და სხვა დაწესებულების სპეციალისტებიც. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს”;

”7.2. თემატური სემინარის ჩატარების ფორმას და შეფასების წესს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო დეკანატთან შეთანხმებით; შეფასება ხდება 12.2 პუნქტის შესაბამისად. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც თან ერთვის სემინარზე წარმოდგენილი მოხსენების საბოლოო შეფასების დოკუმენტი”;

”7.4. სასემინარო ნაშრომის თემას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, აზუსტებს თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო”;

”9.3. რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 ნაშრომი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი, დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი; არ უნდა იყოს დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი”;

”12.6. 12.5 პუნქტში მითითებულმა დოქტორანტმა სტუდენტის სტატუსის გასაგრძელებლად დაცვიდან ორი კვირის ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. წინააღმდეგ შემთხვევაში დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო თუ მან უკვე ისარგებლა “სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის” 5.17 პუნქტში მითითებული უფლებით, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე